საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-255

ქ. თბილისი

04/04/2022

სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში, შპს „ინდიკოს“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ინდიკოს“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 22 იანვარს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ინდიკოს“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №064685.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „ინდიკოს“ ნავთობპროდუქტების საცავი მოწყობილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 2 913მ^2 ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 44.03.22.511). ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 280 მეტრით. ობიექტის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ:44.03.22.510) განთავსებულია შპს „ინდიკოს“ საკუთრებაში არსებული ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო და ასფალტის ქარხანა. ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილიდან 280 მეტრში მდებარეობს შპს „გრინ გაზის“ გაზგასამართი და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ავტოგასამართი სადგურები. ობიექტიდან დაახლოებით 190 მეტრში გადის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ერთეული, მიწისზედა რეზერვუარი (50.93 ტონა და 50.11 ტონა), რომლებიც განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის. ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია 2 ერთეული საწვავმარიგებელი სვეტი, გაცემის ორი წერტილით. საწვავმარიგებელი სვეტების ტერიტორია მობეტონებული და გადახურულია, ხოლო ნავთობპროდუქტების რეზერვუარები ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია დაახლოებით 3 მეტრი სიმაღლის ბეტონის კედლით. საწვავის რეზერვუარები დამზადებულია ლითონის ორშრიანი ფურცლით, განთავსებულია ჰიდროსაიზოლაციო ფენაზე, დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების

შემოტანა ხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით. რეზერვუარების შევსების შემდგომ, სპეციალური ტუმბოს მეშვეობით, საწვავი ავტომატურად მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტებს და ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური ემსახურება მხოლოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, შპს „ინდიკოს“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოსა და ასფალტის ქარხნის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. ობიექტის წლიური რეალიზაცია შეადგენს დაახლოებით 600 ტონა საწვავს. ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს წელიწადში 330 დღე, დღე-ღამეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით და დასაქმებულია 2 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის მოხმარება ხდება სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნით წყალაღება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეკრებისთვის გამოიყენება საასენიზაციო ორმო, რომელიც განთავსებულია შპს „ინდიკოს“ საკუთრებაში არსებულ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული საასენიზაციო ორმოს დაცლა ხორციელდება საჭიროებისამებრ, შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტის ტერიტორიაზე, ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების და სანიაღვრე წყლების შეკრება ხორციელდება საწვავის გასაცემი სვეტების გარე პერიმეტრზე განთავსებული არხების საშუალებით, საიდანაც ჩაედინება ობიექტზე მოწყობილ ნავთობდამჭერში. აღნიშნულ ნავთობდამჭერში დაგროვილი შლამის გატანა ხორციელდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღებისას, შენახვისას და ავტომობილების გამართვისას. ობიექტის მცირე წარმადობის (წლიურად 600 ტონა) გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (280 მ), არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციისას წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები. წარმოქმნილი ნარჩენები გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა უზრუნველყოფილია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, ხელთათმანები და სხვა), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ნავთობპროდუატების საცავები განთავსებულია სამეწარმეოდ ათვისებულ, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც

არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტამდე მისასვლელი გზა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში გზის მოწყობის ან/და რეაბილიტაციის სამუშაოები დაგეგმილი არ არის. რაც შეეხება ზემოქმედებას სატრანსპორტო ნაკადებზე, გამომდინარე იქიდან, რომ ავტოგასამართი სადგური არის მცირე წარმადობის და ემსახურება მხოლოდ მომიჯნავედ არსებული, შპს „ინდიკოს“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება და არსებული ფონური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგურიდან დაახლოებით 280 მეტრის დაშორებით მდებარეობს შპს „გრინ გაზის“ გაზგასამართი და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ავტოგასამართი სადგურები. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. ამასთან, ობიექტზე არსებული ნავთობპროდუქტების საცავების ჯამური მოცულობის (101,04 ტ), საწვავის წლიური რეალიზაციისა (600 ტ) და სადგურებს შორის არსებული მანძილების გათვალისწინებით, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტის საცავების მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობიდან, სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში, შპს „ინდიკოს“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ინდიკო“ ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს

გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ინდიკოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ინდიკოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი